



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N21

2015 წლის 6 მარტი

ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის საფუძველზე, საკრებულომ,

**გადაწყვიტა :**

1. დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდეს მისი დებულება ( დანართი N 1 ).
- 2.დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ( დანართი N2 ).
- 3.დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს სამი თვით.
- 4.ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის საფუძველზე, შექმნილია დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში სამუშაო ჯგუფი).

2.სამუშაო ჯგუფი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ დებულებით, საკრებულოს რეგლამენტით და მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით.

### **მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა**

1.სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრით.

2.სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს თავის შემადგენლობიდან, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საკრებულო.

3.სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს კომისიებისათვის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ჯგუფში სამუშაოდ, დროებით ან ჯგუფის უფლებამოსილების ვადით შეიძლება მოწვეულნი იქნენ სპეციალისტები, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

4.სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით დადგენილ წესების დაცვას.

5.სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

### **მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხორციელების პრინციპები**

სამუშაო ჯგუფის განხორციელების პრინციპებია:

1.ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, კოლეგიურობა კორექტულობა და საჯაროობა , რისთვისაც სამუშაო ჯგუფი ვალდებულია სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიაღებინოს ნებისმიერ მსურველს.

2.სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ჯგუფის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, მოწვეული პირები.

3.სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. დამსწრე ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4.სამუშაო ჯგუფის სხდომა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჯგუფის წევრთა სიით შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იყოს დახურულიც.

5.სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს.

#### **მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები**

1.სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებებს განეკუთვნება დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მიმდინარეობაზე მონიტორინგის გაწევა.

2.სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე შესაბამისი დასკვნის მომზადება და გადაცემა საკრებულოსათვის შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის.

#### **მუხლი 5. სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილების და დამატების შეტანა**

სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია საკრებულოს გადაწყვეტილებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. გიორგი ლაფანაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
2. გიორგი ინაშვილი - წევრი
3. სალომე კაკაბლიშვილი - წევრი
4. გიორგი რუბაშვილი - წევრი
5. ვაჟა ჭინჭარაული - წევრი
6. იოსებ ჭინჭარაული - წევრი
7. მამუკა აფციაური - წევრი
8. გოგიტა ყარმაზანაშვილი - წევრი
9. ივანე თეთრუაშვილი - წევრი